ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7212615

ნომერი: AR11051737

თარიღი : 06.09.2024

გაცემის თარიღი : 13.09.2024

გაცნობის თარიღი : 13.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 12 , (ნაკვეთი N6/30) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N12 , (ნაკვეთი N6/38);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქურციკიძე პ/ნ 01015018332
- თბილისი კრწანისის ქ. N 7ა ბ. 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 5

აგვისტოს №AR11051737 განცხადებით მომართა გიორგი ქურციკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებით, №01.11.19.006.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, საწყობის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურში ფიქსირდება 2024 წლის 13 აგვისტოს №AR1988708 განცხადება, დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე, საწყობის პროექტის შეთანხმების თაობაზე.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველი „შენიშვნამდე“არასწორად არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 4 დეკემბრის №AR11001737 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, საწყობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებაში „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველი „შენიშვნამდე“არასწორად ჩამოყალიბდა. კერძოდ, ვინაიდან, №01.11.19.006.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვრები, მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე უნდა განსაზღვრულიყო საკადასტრო საზღვრებიდან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობებისა და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის ველი „შენიშვნამდე“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

- მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: საკადასტრო საზღვრებიდან.“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №6800542 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.